GOV 7 20 00018190

22/05/2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამილა ბარკალაიას

ქალბატონო თამილა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ევროპის საბჭოს ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) თანახმად, საქართველოს აქვს ვალდებულება 2020 წლის სექტემბერში წარუდგინოს ეროვნული ანგარიში ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობი წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექპერტთა ჯგუფს (GREVIO).

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, როგორც სტამბულის კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრული მაკოორდინირებელი ორგანო, პასუხისმგებელია პოლიტიკისა და ზომების კოორდინაციაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. შესაბამისად, კონვენცია იწყებს GREVIO-ს ანგარიშისათვის ინფორმაციის შეგროვებას.

წერილს დანართის სახით ვურთავთ GREVIO-ს მიერ გამოგზავნილ კითხვარს (დანართი N1), სადაც, უწყებათაშორისი კომისიის მხრიდან, თითოეულ კითხვასთან საპასუხოდ განისაზღვრა შესაბამისი უწყება/უწყებები. უწყებები სრულიად თავისუფლები არიან უპასუხონ იმ კითხვებს, სადაც არ არიან მონიშნულნი, თუმცა მიიჩნევენ, რომ მათი კომპეტენციის ფარგლებში, შეუძლიათ პასუხი გასცენ შეკითხვას. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კითხვაზე შევსებული პასუხი უნდა წარმოადგენდეს სრულ და ამომწურავ ინფორმაციას.

ამასგარდა, გიგზავნით კითხვარის შევსებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და შინაარსობრივ მახასიათებლებს (დანართი N2), რომელიც ხელს შეუწყობს ანგარიშგების პროცესში ინფორმაციის საერთო სტანდარტით წარმოდგენას, რაც შემდგომში, გაამარტივებს მის ერთიან ფორმაში მოქცევას.

ადამიანის უფლებების სამდივნომ უკვე შეაგროვა ინფორმაციის ნაწილი, რაც უწყებებს გაუმარტივებს კითხვებზე მუშაობას. გიგზავნით ადამიანის უფლებების სამდივნოს მიერ შევსებული ინფორმაციის პირველად ვერსიას (დანართი N3), რომელიც ძირითადად ეხმიანება საკანონმდებლო ჩარჩოსა და სახელმწიფოს პოლიტიკას ქალთა მიმართ და ოჯახში

ძალადობის საკითხებზე. გთხვოთ, გაითვალისწინოთ, რომ შეგიძლიათ განახორციელოთ ნებისმიერი ცვლილება კითხვარის შევსებულ ნაწილში, თქვენი შეხედულებისამებრ, ვინაიდან დოკუმენტი წარმოადგენს პირველად ვერსიას და არ არის ამომწურავი.

გთხვოთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგინოთ ინფორმაცია ქართულ ენაზე (შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში ინგლისურ ენაზეც) არაუგვიანეს **2020 წლის 5 ივლისისა.**

გმადლობთ თანამშრომლობისთვის!

პატივისცემით,

პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების
და გენდერული თანასწორობის საკითხებში
ლელა აქიაშვილი